შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ის
დაფინანსების წყაროების ანალიზი
2020 წ.

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA განვითარებაზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორც სადიპლომოს და ასევე, პროფესიული მომზადება/გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამებს და საზოგადოებას მუდმივად სთავაზობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობას.

დაწესებულების მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა ბაზარზე არსებულ წამყვან კომპანიებსა და პოტენციურ დამსაქმებლებთან, კიდევ უფრო ზრდის საგანმანათლებლო პროგრამებისა და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ხარისხს.

კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, აკადემია პერიოდულად აწყობს დასაქმების ფორუმს, რაც ჩვენი კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალ მაჩვენებელს განაპირობებს.

ქვეყნის შიგნით ბაზრის სუბიექტებისა და საგანმანათლებლო მომსახურების ადგილობრივ მსურველებთან თანამშრომლობის გარდა, აკადემია აქტიურად მუშაობს ინტერნაციონალიზაციის პროცესზე და ახორციელებს ინგლისურენოვან პროგრამას. ჩართულია საერთაშორისო საგრანტო პროექტებში და აქვს მჭიდრო კავშირი ევროპის წამყვან კოლეჯებთან. ამ თანამშრომლობის ფარგლებში აკადემიამ უმასპინძლა გერმანელ სტუდენტებს და აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას ქართველი სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვის მიზნით.

მიუხედავად, COVID-19-თან დაკავშირებული პანდემიური სიტუაციისა, აკადემიამ წარმატებით განახორციელა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროფრამები პროექტის „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამები“ ფარგლებში.

ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაწესებულებამ პანდემიით გამოწვეული შეფერხებების სწავლების ხარისხზე უარყოფითი გავლენის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ერთ-ერთმა პირველმა გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი Microsoft-ის ოფიციალურ წარმომადგენლობასთან საქართველოში და წარმატებით დანერგა ონლაინ სწავლების პლატფორმა Ms Teams-ი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მზარდია აკადემიის როგორც შემოსავლები, ასევე ხარჯები. აკადემიაში მიმდინარე პროცესებიდან, განხორციელებული და მომავალში დაგეგმილი აქტივობებიდან ჩანს, რომ მისი შემოსავლები დივერსიფიცირებულია და არ არის დამოკიდებული მხოლოდ სტუდენტთა მიერ გადახდილ სწავლის საფასურზე, რაც კიდევ უფრო ზრდის საინტერესო და ნაყოფიერი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია შპს "საქართველოს აკადემია-SBA"-ს 2020 წლის დაფინანსების წყაროების ანალიზი. კერძოდ, განხილულია შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკა და მათი შინაარსი.

როგორც აღინიშნა, აკადემიის დაფინანსების წყაროები არ არის დამოკიდებული მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამებიდან შემოსავალზე. *დიაგრამა N1.-ზე* წარმოდგენიალია შპს საქართველოს აკადემია-SBA- ს მთლიანი შემოსავლებისა და ხარჯების 3 წლის დინამიკა. მცირე უარყოფითი რყევის მიუხედავად, პერიოდის ჭრილში, დაწესებულების შემოსავლები მკვეთრად შემცირებული არ არის. ამასთან, გასათვალისწინებელია Covid-19-ის პანდემიის გამო შეფერხებულის პროექტები. შესაბამისი დინამიკა ახასიათებს ხარჯებსაც. თუმცა დიაგამაზე კარგად ჩანს, რომ დაწესებულების შემოსავლები მნიშვნელოვნად აღემატება ხერჯებს, რაც კომპანიის ფინანსურ მდგრადობაზე მეტყველებს.



მთლიანი შემოსავალი



აკადემიის მთლიანი შემოსავალი 2020 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 22.10 %-ით. აღნიშნული შემცირება გამოწვეულია ძირითადად პანდემიით შეფერხებული სხვადასხვა პროექტებით, რაც აკადემიის შემოსავლის დივერსიფიცირებული წყაროებს წარმოადგენს.

<u>შემოსავალი ძირითადი მომსახურებიდან,</u> კერძოდ, სტუდენტების მიერ შემოტანილი სწავლის საფასური 2020 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილია 120%-ით. აღნიშნული შემოსავლის ზრდა განპირობებულია აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებით და შესაბამისად, პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ზრდით. ამასთან, ის ფაქტი, რომ რიგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ, მამოტივირებელია პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის.

<u>რაც შეეხება შემოსავლის დივერსიფიცირებული წყაროებს, მასში შესულია:</u>

- პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებიდან შემოსავლის ნაწილი, ვინაიდან პანდემიის გამო პროექტი დაიწყო 2020 წლის დეკემბერში.

- აკადემია შემოსავალს იღებს მის მფლობელობაში არსებული, ავტორიზაციის მიზნებისათვის გამოუყენებელი ფართის იჯარით გაცემიდან.

ალტერნატიული წყაროებიდან შემოსავალმა 2020 წ. შეადგინა მთლიანი შემოსავლების 6%.

-აკადემიის დამატებით შემოსავალს (სხვა შემოსავალი) წარმოადგენს ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი უცხოელი სტუდენტებისთვის, ცნობის საფასური, საპროცენტო შემოსავლები და ა.შ. აღნიშნულმა სხვა შემოსავალმა 2020 წელს შეადგინა ,მთლიანი შემოსავლების 3%.



აკადემიის მთლიანი ხარჯები წინა წელთან შედარებით შემცირდა 30.1 %-ით.

-შრომის ანაზღაურების ხარჯი, რომელიც აკადემიის საერთო ხარჯის 53 %-ს წარმოადგენს, წინა წელთან შედარებით 33%-ით შემცირდა. სახელფასო ფონდის შემცირება გამოწვეულია კარანტინის გამო გარკვეული პერიოდით შეჩერებული სასწავლო პროცესისა და სასერტიფიკატო პროგრამების განუხორციელებლობის ხარჯზე, რომელიც ვერ განხორციელდა

-სხვა სერთო აერთიანებს ისეთ ხაჯებს, როგორებიცაა, სარეკლამო კამპანია, საოფისე ხარჯები, ბანკის მომსახურების ხარჯი , მიმდინარე სამეურნეო ხარჯი და სხვა .

- სტუდენტთა სწავლების ხარჯებმა 2020წ. შეადგინა მთლიანი ხარჯის 14 %. აღნიშნულ ხარჯში შესულია პროგრამებით გათვალისწინებული მასალა-ნედლეულისა და სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერისათვის გახარჯული ფინანსური რესურსი.

აკადემია მუდმივად ზრუნავს სტუდენტებზე და ახორციელებეს სხვადასხვა ტიპის სოციალურ პროგრამებს და აქტივობებს. მაგ: თუ სტუდენტი არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახიდან, მას სწავლის საფასური უმცირდება 20%-ით, ან თუ ერთი ოჯახიდან ერთდროულად სწავლობს ოჯახის ორი ან მეტი წევრი, ოჯახის ერთ წევრს სწავლის საფასური უმცირდება 20%-ით. ასევე, მაღალი მოსწრების მქონე სტუდენტების მოზიდვის მიზნით, აკადემია 15%-იან ფასდაკლებას უკეთებს იმ სტუდენტებს, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე დააგროვეს გარკვეული რაოდენობის ქულა და სხვა.

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA
ფინანსური მენეჯერი